

ახალი თაობა



დავით სარგაძემ: „პრემიერი იტყვის, ვინ რა **გვ.4** თანამდებობას დაიკავებს“



10 ნოემბრიდან
ჯერალდ დარელი იღუპალი ხეების ქვეყანა. მთვრალ ტყეში

ფასი
გაზეთთან ერთად **10 ლარი**

ორშაბათი, 14 ნოემბერი, 2016

№270 (7195)

ფასი: 50 თეთრი

„ნაცმოძრაობის ახალი თავმჯდომარის არჩევა ივანიშვილის გამარჯვება იქნება“



„დავით ბაქრაძეს შეუძლია, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გახდეს“

ზვიად კუპრაძე:
„პარტიამ ახალი პოლიტსაბჭო უნდა აირჩიოს“



„ტრაგედი საქართველოსთვის ნატოსკენ მიმავალ გზაზე ტრაგედია უნდა გახდეს“



„ეს ქვეყანა არავის უკნ არ არის“



ითანამშრომლებს თუ არა გუბაზ სანიკიძე ეროვნულ ფორუმთან **გვ.2**

ანი მიროზაძე: „ჩვენ ევროპული ტიპის პარტიას შევქმენით, რომელიც სხვაანირ საქართველოზე იქნება ორიენტირებული“



ლევან ბერძენიშვილი:
„ქართული ოცნება“ ერთგვაროვანი პერ დარჩება“

გვ.3

„ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრის გადანაცობა მიმდინარეობს“

რატომ გაუხარდათ ტრაგედიის გამარჯვება ისლამურ სახელმწიფოში **გვ.5**



სუს-მა **გვ.7**
თაღლითობის მსჯელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავე



მიხეილ ხმალაძე: „ტექნოლოგიების გადსახადზე ზედ ზღვარს დავანდებთ“ **გვ.6**

„ჩაერთო რაგბიში“ უპრეცედენტო შანსი მოზარდებისათვის

2017 წლიდან „ნატახტარის თასი“ რაგბიში თბილისის ყველა სკოლაში გაიმართება

სპორტულ-საგანმანათლებლო პროექტმა „ჩაერთო რაგბიში“ სტარტი აიღო და მასში მალე მთელი საქართველო ჩაერთვება. პროექტის „ჩაერთო რაგბიში“ მიზანია რაგბის, როგორც სპორტის სახეობისა და ცხოვრების წესის, პოპულარიზაცია. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტში ჩართულნი არიან სკოლის მოწაფეები, წესებიც მათზე მორგებული და უსაფრთხოა.

პროექტში 2017 წელს ჩაერთვება მთლიანობაში 169 სკოლა და გადამზადდება 300 სპორტის მასწავლებელი, რომლებიც უშუალოდ იმუშავენ 3 500-ზე მეტ ბავშვთან. ამ ეტაპზე 150 სკოლა უკვე მონაწილეობს „ჩაერთო რაგბიში“ აქტივობებში და 86 პედაგოგმა გაიარა გადამზადების სრული კურსი. ამასთან, 20-მა ინსტრუქტორმა გაიარა სპეციალური ტრენინგი სპორტის მასწავლებლებთან სა-

მუშაოდ.

პროექტის პრეზენტაცია „შევარდენის“ რაგბის აკადემიის სტადიონზე გაიმართა, სადაც სამხრეთი თანამშრომლობის მემორანდუმზე გაფორმდა. საზოგადოებას პროექტის დეტალები საქართველოს სპორტის მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ, რაგბის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კაჭარავამ და კომპანია „ნატახტარის“ კომერციული დირექტორმა ნიკოლოზ ხუნდაკიშვილმა გააცნეს.

პროექტის „ჩაერთო რაგბიში“ ფარგლებში 2017 წელს თბილისის ყველა სკოლის მასშტაბით გაიმართება ფესტივალი „ნატახტარის ლიმონათის თასი“.

პროექტი „ჩაერთო რაგბიში“ (Get into Rugby) „ევროპა რაგბის“ რეკომენდაციითა და სტანდარტებით ხორციელდება.



ტარიელ ხეჩიკაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი:

— ჩვენი მორაგბეების წარმატებული ასპარეზობა განაპირობებს, რომ სპორტის ეს სახეობა განსაკუთრებულად პოპულარულია ახალ თაობაში. ამ პროექტის საშუალებით კი უფრო ბევრი მოზარდი შეიძლება ჩაერთოს რაგბიში, თუ ბოლომდე არ გაყვება სპორტის ამ სახეობას, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი მანც იქნება ყოველთვის. ეს პროექტი უფრო მეტ პოპულარიზაციას გაუწევს რაგბის და გრძელვადიან ჭრილში უფრო დიდ წარმატებას მოუტანს ქვეყნის მორაგბეების სახით.

ნიკოლოზ ხუნდაკიშვილი, კომპანია „ნატახტარის“ კომერციული დირექტორი:

— უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი წამოვიწყეთ „ნატახტარის ლიმონათის“ სახელით, რომელიც მოზარდებს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად ჩაერთონ რაგბიში. 3500-ზე მეტ ახალგაზრდას ექნება საშუალება, გაეცნოს სპორტის ამ სახეობას და მოიწვიოს საკუთარი ძალები. 2017 წლიდან თბილისის სკოლებში ჩატარდება „ნატახტარის“ ტურნირი რაგბიში, შემდგომ კი მთელი საქართველოს ჩართულობაც მოხდება.

ბიორბი კაჭარავა, რაგბის ასოციაციის პრეზიდენტი: — პროექტის მიზანია მო-

ზარდებისათვის სპორტის ამ სახეობის უკეთ გაცნობა, თამაშის პრინციპების შესწავლა და მორაგბეების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

გვინდა, რომ ამ პროექტის ფარგლებში მოხდეს არასწორად ჩამოყალიბებული და გავრცელებული სტერეოტიპების დანგრევა, მაგალითად, მცდარია მოსაზრება, რომ რაგბი არის ძალიან ძლიერი და ახმახი აღნაგობის ადამიანების თამაში, სინამდვილეში კი რაგბი დაბერკოლების არიდებისა და გაქცევის თამაშია. მორაგბის მიზანია არა შერკინება, არამედ თავისუფალი სივრცის მოძიება და ლელოს დადება.



რატომ გაუნარღათ ტრამპის გამარჯვება ისლამურ სახელმწიფოში

რა რეიდები ტარდება საქართველოს საზღვართან

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს სიახლოვეს მიმდინარე მოვლენები პირდაპირ აისახება ქვეყნის უსაფრთხოებაზე. ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმთან ბრძოლის გაფართოებამ ახალი რისკები გააჩინა. საქართველოში შეიძლება გადმოვიდნენ როგორც ჯიჰადისტები, ისე რეპრესიების მსხვერპლი უდანაშაულო მოქალაქეები. მათი ნაწილი საქართველოშია და თავშესაფარს ითხოვს.



მსოფლიოში ჯიჰადისტების რაოდენობის ზრდას ელიან



ბევრი კავკასიელი ისლამური სახელმწიფოს რიგებში იბრძვის. არსებობს კავშირები ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილებთანაც. ადგილობრივ ჯიჰადისტებს ერთგულების ფიცი აქვთ დადებული ხალიფად წოდებულ ტერორისტების მეთაურთან. სალაფიტური მეჩეთები ითვლება საეჭვო დაწესებულებებად, სადაც იკრიბებიან ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში მყოფი პირები.

ერთ-ერთი ოპერაციის დროს დაკავებული ხასავიურტის ერთ-ერთი მეჩეთის იმამი მაგონენტიანი მაგომედოვი სამართალდამცავებმა პოლიტიკაში რად შერაცხეს. მისი საქმის გასაჩივრება სტრასბურში ივებება. იმამის სასამართლო პროცესი ცოტა ხნის წინ გაიმართა. მაგომედოვს ბრალად დასდეს ტერორიზმისაკენ მონოდედებები და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუ-

საჯეს. იმამის ადვოკატი დაგირ ხასავეი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობა დამტკიცებული არ არის, გამოძიებამ კი საქმეში ჩართო მონაშთა საეჭვოდ ერთნაირი ჩვენებები. სიმართლის დასადგენად საჭირო გახდა ლინგვისტური ექსპერტიზა. ექსპერტიზა ჩატარდა, მაგრამ ექსპერტის ფუნქციები საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელმა შეასრულა.

სამართალდამცველების ინფორმაციით, იმამს ტერორიზმთან კავშირი არ ჰქონია. იგი ხელისუფლებას უდანაშაულო მოქალაქეების შევიწროების გამო აკრიტიკებდა. მისი მეჩეთის დახურვის შემდეგ იმამმა განაცხადა, რომ ამგვარი მოქმედებები იწვევს რადიკალიზაციას საზოგადოებაში, რასაც შეიძლება დიდი სისხლისღვრა მოჰყვეს.

აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა წინასწარ ჩვენოდ განაცხადა, რომ ისლამურ სახელმწიფოს სერიოზულ ბრძოლას გამოუცხადებს. ამის მიუხედავად, გერმანული „შპიგელის“ ცნობით, ისლამურ სახელმწიფოში ტრამპის გამარჯვებას დიდი ზარ-ზემით შეხვდნენ. „შპიგელი“ აღნიშნავს, რომ აშშ-ის არჩევნების შემდეგ ასაღმა შევებით ამოისუნთქა, მაგრამ არჩევნების შედეგებმა ყველაზე მეტად ისლამური სახელმწიფოს მეთაურები გაახარა. ტრამპისგან სირიის კრიზისის დაძლევის არ ელიან. არსებობს იმის მოლოდინი, რომ შეიცვლება ამერიკის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. პილარი კლინტონი მეამბოხეების შეიარაღებასა და ზოგიერთ რაიონში არასასაფრენი ზონების შექმნას აპირებდა. ახლა ეს ნაკლებად მოსალოდნელია.

დონალდ ტრამპს სირიის მიმართ სტრატეგიის 2 პუნქტი აქვს განსაზღვრული. ესაა ასადის რეჟიმის შეცვლის პოლიტიკაზე უარის თქმა და პრიორიტეტის გადმოტანა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძო-

ლაზე. მიუხედავად ამ გეგმისა, ჯიჰადისტებს ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლა ახარებთ.

— ტრამპის პრეზიდენტობა სამართლიანი კომპენსაციაა. 11 სექტემბერი ისლამური ნაცის დაბადების დღე იყო. 9 ნოემბერი კი სატანა ამერიკის დასასრულის დასაწყისი გახდება, — დაწერეს ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

ისლამისტებმა დაასკვნეს, რომ ესაა გაცვეთილი ყველა მუსლიმანი-სათვის, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან მთელ მსოფლიოში და თავს უსაფრთხოდ მხოლოდ ხალიფატში გრძობენ. ტრამპის გამარჯვება, რომელიც ითხოვდა აკრძალვის შემოღებას მუსლიმანების აშშ-ში შესვლაზე, კარგად ენერება მთლიან სურათში.

„შპიგელის“ აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისლამური სახელმწიფო სირიისა და ერაყის სამხედრო მოედნებზე დამარცხდება, ტრამპის ანტიისლამისტური რიტორიკა ჯიჰადისტების რიცხვის ზრდას გამოიწვევს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი
ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსასხროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალ-ლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამწველ მასაჟს თავფით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.
☎ 555-02-32-08. ქალაქი თბილისი

14 ნოემბრისთვის



აშშ დოლარი — 2.4899



ინგლისური გირვანკა სტერლინგი — 3.1472



ევრო — 2.7098



100 რუსული რუბლი — 3.7825



8 ნოემბრიდან მსოფლიო ლიბრაჟების კლასიკოსები დავიდ ლოუკანსი ლედი ჩეთერლის საყვარელი

ამ რომანმა გამოსვლისთანავე დიდი სკანდალი გამოიწვია. მწერლის სამშობლოში, დიდ ბრიტანეთში, 1930 წელს უკვე დაბეჭდილი ნიგნების მთელი ტირაჟი გაანადგურეს. აკრძალვა 1960 წლამდე მოქმედებდა, ვიდრე გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ ამ რომანმა მთლიანად არ აღიდგინა თავისი უფლებები.

ნიგნში აღწერილია სიყვარულის კლასიკური სამკუთხედი: ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ინვალიდი ქმარი და მოუხეშავი ტყის მცველი. დევიდ ლოუკანსის ეს ნიგნი მსოფლიოს საუკეთესო ნაწარმოებების რიცხვშია და მისდამი ინტერესი დღემდე არ განელბუდა.

ფასი გაზითაჲ ერთად 8 ლარი

იუმორი

ნათელმა ხილ-ველმა თავის კატას ფეხი ამოსცხო. ცოლი ეკითხება:

- რისთვის, ძვირფასო, არაფერი დაუშავებია.
- ნახევარ საათში აქ მოისაქმებს!

...
ექიმთან მიღებაზე. პაციენტი ეკითხება:

- ექიმო, მოვრჩები?
- ეგ მეც მაინტერესებს...

...
ცოლი ქმარს ეკითხება:

- ძვირფასო, მითხარი, ლამაზი თები მაქვს?
- ძალიან ლამაზი, გრძელი, აბრეშუმით, მაგრამ, იცხრა, მაინც გაპარსული ფეხები უკეთესია...

...
მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილს უხსნის:

- ბავშვებო, დღეს ჩვენ ასო „ყ-ს“ გავივლით.
- პატარა გიგი ხელს იწვეს.
- არა გიგი, შენ ჯერ ასო „ბ-სთვის“ არ მოგიყვანია მშობელი.

...
ახალგაზრდა ყოველ საღამოს თავისი ფანჯრიდან მეზობელი სახლის ფანჯარაში გოგონას დურბინით უყურებდა. ერთ დღესაც ტელეფონი რეკავს, ახალგაზრდამ ყურმილი აიღო და ქალის ხმა ეკითხება:

- ხომ არ დაგინახავს, წუხელის სად დავდე კოლოტი?

...
ქალს ეკითხებიან: რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი ბეჭდვითი გამოცემა?

- ფული!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

10 ნოემბრიდან ჯერალდ დარელი იღუპალი ხეების ქვეყანა. მთვრალ ტყეში

ფასი გაზითაჲ ერთად 10 ლარი

15 ნოემბრიდან ჯონ ტენერი ოცდაათი წელი ინდიელთა შორის

ფასი გაზითაჲ ერთად 9 ლარი

კარდაშიანის და გააშიშვლეს და შეღებვის ამერიკელი ტელეეპარკულავის კიმ კარდაშიანის დამ კაილი ჯენერმა ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, რომლის დროსაც მას ლურჯი ფერის საღებავი შეასხეს. კადრები ფოტოსესიიდან გოგონამ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

19 წლის მოდელს სურათებს ლოსანჯელესელი ფოტოგრაფი საშა სამსონოვა უღებდა. სურათმა, რომელიც ჯენერმა გამოაქვეყნა, 1,7 მილიონზე მეტი მოწონება მიიღო. სულ კი გოგონას აკაუნტს სოციალურ ქსელში 78,2 მილიონი ხელმოწერილი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოგახის დრო ჯერ არ დაგება

დორენკო (ანტონიუკი 70), ბუბავეი

მატჩის დაწყებამდე ქართული სპორტის ქომაგებმა ბანერი გამოფინეს — მოგების დროა... თუმცა, როგორც ჩანს, ეს დრო ჯერ ისევ არ დამდგარა.

არადა, შეიძლება 3 ქულის ალება, მაგრამ ქართველ ფეხბურთელებს ავიწყდებათ, რომ ფეხბურთი 90 წუთს მიმდინარეობს. ამას თან დაემატა ვლადიმერ ვაისის შეცდომები შეცვლების დროს, პლუს გაუმართავი თამაში დაცვაში და...

პირველი ტაიმის შემდეგ არ ჩანდა, რომ ჩვენები ქულას დასჯერდებოდნენ, მაგრამ მეორეში სხვა გუნდი ვიხილეთ. ისე ჩანს, რომ ვაისის გუნდი ერთ ტაიმს თამაშობს — ჯერ-ჯერობით 4 მატჩში ორივე ტაიმი თანაბრად არ უთამაშია.

თავიდან მოლოდინები უკეთ ირჯებოდნენ, ორი მწვავე დარტყმაც განახორციელეს.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

სეფლის მოყვარულმა უძველესი ქანდაკება დაამტკიცა

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში არსებული ეროვნული მუზეუმის დათვალიერების დროს ტურისტმა, რომელიც სეფლის გადღების ცდილობდა, იატაკზე გადმოაგდო XVIII საუკუნის დასაწყისის ქანდაკება.

ბრაზილიელი მოგზაური, რომლის ვინაობა უცნობია, ცდილობდა, ავტოპორტრეტი ანგელოზ მიქაელის ფონზე გადაეღო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის იმისთვის, რომ კარგი კადრი დაეჭირა, უკან-უკან იხევდა, მაგრამ მანძილი ვერ გათვალა და შემთხვევით სეფოვნების ნიმუშს დაეჯახა. ის კვარცხლბეკიდან გადმოვარდა და ნაწილებად დაიშხრა.

მომხდარის ერთ-ერთმა თვითმხილველმა ნანო მიგელ როდრიგესმა სეფოვნების დაზიანებულ ქანდაკებას სურათი გადაუღო. მუზეუმის დირექტორის მოადგილე ხოსე კარვალომ განაცხადა, რომ მისი მუზეუმში ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში ეს პირველი მსგავსი შემთხვევაა. ექსპერტების დასკვნით, ქანდაკების აღდგენა შეუძლებელია.

თურქეთში კატის ძეგლი მოიპარეს

თურქეთში ყველაზე ცნობილი კატის ტომილის ძეგლი სტამბოლის ქუჩიდან მოიპარეს. ამის თაობაზე ინფორმაცია ფეისბუქში ცხოველის გვერდზე იქნა განთავსებული.

— ქანდაკება დილით მოიპარეს, — ნათქვამია ტექსტში.

ცნობილი კატის ძეგლი, რომელიც ჩაფიქრებული ზის ბორდიურთან, ოქტომბრის დასაწყისში გაიხსნა. თავად ტომილი 1 აგვისტოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მოკვდა.

კატა პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ფოტოსურათი, რომელზეც ის დაფიქსირებულია იმ მომენტში, როდესაც ზის, თათით კი ბორდიურზე დაყრდნობილი. ამ კადრმა დიდი ინტერესი გამოიწვია და უამრავი ფოტოშოპი გაკეთდა. ზოგიერთში ცხოველს თათით კონიაკის ჭიქა ეჭირა, ზოგიერთში — სიგარეტი. ტომილისთვის სოციალურ ქსელში გახსნილ აკაუნტს 32 მილიონზე მეტი ხელმოწერილი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრอสვოიდი

თარაზულად: 1. წყალმუღუნვა-დი მინერალური მასა, იყენებენ კერამიკაში; 3. თოვლის ჯიქი; 8. იაპონელთა ნაციონალური სამოსი; 9. ჭიგო; 14. ძველის საპირისპირო; 15. სილამაზის, სიყვარულის ქალღმერთი ინდიუზმში; 17. ჩლიქზე დასაკრავი რკინის ფირფიტა; 20. აგატა ...; 22. წნელის ბრტყელი წნული; 23. კლდეში ნაკვეთი ქალაქი; 25. გამოსვლილი მფრინავი; 26... გარსია; 27. ბერძნული ანბანის ასო; 28. ძლიერ რადიქტიული მინერალი.

შეუღლად: 1. ღირებულება; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ნერვულ-ფსიქიკური დაავადების გამომხატულება; 4. ფრანგული ძველებური ხურდა; 5. ყველაზე პატარა; 6. პატარა ტანის ცხენი; 7. ნახატების შემცველი მომცრო ნიგნი; 10. სუსტი არაყი; 11. მიმტანი რესტორანში; 12. მეჩეთის კოშკი; 13. სესხად აღებული ფული; 16. ფულის ერთეული ესპანეთში; 18. სამხედრო-საზღვაო გემების დიდი მფრინავი; 19. პატარა, ორადგილიანი თვითმფრინავი; 21. რომის პაპის გვირგვინი; 24. შუადღისა ოლივერ კონსამ

1			2		3		4		5	6	7
									8		
9		10				11					
			12				13				
	14						15				
16			17								18
				19		20		21		22	
			23			24			25		
26						28					27